ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, მანანა ჩიხლაძის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ საანგარიშო შეხვედრის ჩატარების

ოქმი N 2

საანგარიშო შეხვედრის ჩატარების დრო:

28 ოქტომბერი, 2023 წელი 15:00 საათი.

ანგარიშის წარდგენის ადგილი:

ქალაქი ქუთაისი სოლომონ I -ის N 46ა.

ხარაზოვის ბაღი

შეხვედრას უძღვებოდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ქალბატონი **მანანა ჩიხლაძე.**

ესწრებოდნენ: ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების პოლიტიკური თანამდებობის პირები, საკრებულოს წევრები, საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველები, სამოქალაქო სექტორისა და სხვადასხვა სფეროს საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები და ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, ქალბატონმა **მანანა ჩიხლაძემ** ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 130-ე მუხლის შესაბამისად, საანგარიშო შეხვედრაზე, წარადგინა ანგარიში მის მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის წევრის,

მანანა ჩიხლაძის ანგარიში ოქმს თან ერთვის.)

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, ქალბატონმა **მანანა ჩიხლაძემ** ისაუბრა, როგორც საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნებისა" და კომისიების საქმიანობისას შემუშავებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების თაობაზე, ასევე საკუთარი ინიციატივებისა და საქველმოქმედო ღონისძიებების შესახებ.

შეხვედრის დასასრულს მოწვეულმა სტუმრებმა დადებითი შეფასება მისცეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ქალბატონი **მანანა ჩიხლაძის** მიერ წარმოდგენილ ანგარიშს. მადლობა გადაუხადეს ნაყოფიერი საქმიანობისათვის და უსურვეს წარმატებები.

საკრებულოს წევრი

მანანა ჩიხლაძე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, მანანა ჩიხლაძის 2023 წელს ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

საკრებულოში საქმიანობა:

- ✓ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
- ✓ ფრაქცია ,,ქართული ოცნების" თავმჯდომარის მოადგილე;
- ✓ ჯანმრთელობის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრი;
- ✓ განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის კომისიის წევრი.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა და აქტიური მონაწილეობა მივიღე შემდეგ აქტივობებში:

- ➢ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 15 სხდომა (11 რიგითი, 4 რიგგარეშე)
- ➢ კულტურის, განათლების, ახლგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის 11 სხდომა, რომელზეც განხილული იქნა 11 საკითხი.
- ➢ ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 8 სხდომა, რომელზეც განხილული იქნა 8 საკითხი.
- ➢ ქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების'' ფრაქციის 8 სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა 8 საკითხი.
- ➢ მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომები/ ტრენინგები

ჩვენი გუნდისთვის ადამიანი, მისი კეთილდღეობა პრიორიტეტია, შესაბამისად, გამომდინარე იქედან, რომ ბევრ რამეზეა დამოკიდებული ადამიანის კეთილდღეობა და უამრავი რაიმე ახდენს მასზე დადებით ან უარყოფით ზეგავლენას, მაქსიმალურად ვცდილობთ გავაანალიზოთ განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა და უმწეოთა ყოფა, ვიცით, რომ არსებობს მოთხოვნები, რომელთა დაკმაყოფილების გარეშე შეუძლებელია არსებობა, მაგრამ ამავე დროს არსებობს მოთხოვნები, რომელთა დაკმაყოფილების გარეშეც შეუძლებელია კეთილდღეობა.

რთულია კეთილდღეობის განსაზღვრა უპირატესობების, პრიორიტეტების გარეშე, შესაბამისად, ჩვენც ვცდილობთ ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში მაქსიმალური შევძლოთ.

აღსანიშნავია, რომ ისევ ვიმყოფებით COVID-19 პანდემიის ზეგავლენოს ქვეშ, რის გამოც ქალაქის მოსახლეობა მძიმე სტრესის ქვეშაა, განსაკუთრებით, ქრონიკულად მოავადე პაციენტები და ხანდაზმული მოქალაქეები. აღნიშნულმა პრობლემამ ადამიანებს საკმაოდ მძიმე კვალი დააჩნია, მათ შორის, სოციალიზაციის მიმართულებით.

ზემოთთქმულიდან გამომდინარე, აქტიურად ვარ ჩართული სწორედ ამ პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლაში და შეჭირვებული ადამიანების მხარდაჭერის საკითხში:

უკვე მესამე წელია, ყოველთვიურად, უსასყიდლოდ ვეხმარები 2 სოციალურად შეჭირვებულ ოჯახს, 2 შშმ პირს და ერთ მრავალშვილიანი ოჯახის წევრს შემდეგი აქტივობებით: ექიმი–კარდიოლოგის, ენდოკრინოლოგის, ინფექციონისტის, ალერგოლოგის, იმუნოლოგის, თერაპევტის (საჭიროებიდან გამომდინარე) მაღალკვალიფიციური კონსულტაცია, ლაბორატორიული გამოკვლევები, ელ. კარდიოგრაფია, ექოსკოპიური გამოკვლევა.

საკუთარი დანაზოგით ვეხმარები 3 მრავალშვილიან ოჯახს სურსათითა და ჰიგიენური საშუალებებით.

საერთაშორისო კამპანია „ვარდისფერი ოქტომბერის" ფარგლებში აქტიური შეხვედრები გავმართე ქალბატონებთან, გავავრცელე ფლაერები, რომელიც ძუძუს კიბოს პრევენციის შესახებ ცნობიერების ამაღლებას ემსახურებოდა. შევახსენე, რომ საქართველოს მასშტაბით, სკრინინგის ეროვნულ ცენტრებში, მთელი წლის განმავლობაში, სხვადასხვა ასაკის ქალებისათვის ძუძუს კიბოს, საშვილოსნოს ყელის, და მსხვილი ნაწლავის სკრინინგები სრულიად უფასოა , რომ ადრეული დიაგნოსტირება აუცილებელია და ამისათვის დროული სკრინინგია საჭირო.

მიუხედავად იმ პროექტებისა, რომლებიც ბოლო წლებში ხორციელდება, ჩემს მეგობარ კოლეგებთან ერთად ანგარიშის ჩაბარების დროს მოსახლეობასთან საუბრისას კიდევ მრავალი საჭირბოროტო საკითხი წამოიჭრა, რომელთა გადაჭრაშიც, მაქსიმალურად ვეხმარები მათ.

საკრებულოს თავმჯდომარის ირაკლი შენგელიას ინიციატივითა და დიდი მხარდაჭერით, ვცდილობთ საკუთარი დანაზოგით გავულამაზოთ დღეები ჩვენს მეგობარ შშმ პირებს და მივეხმაროთ სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების დაორგანიზებასა და საინტერესოდ ჩატარებაში.

ვარ საქველმოქმედო ფონდის წევრი, ჩვენი გუნდის წევრების, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, მამუკა რიჟამაძის დიდი ძალისხმევითა და მხარდაჭერით, ერთად, გუნდურად, ვცდილობთ შევეხიდოთ და ფინანსური მხარდაჭერით გვერდით დავუდგეთ და ყოფა შევუმსუბუქოთ განსაკუთრებული საჭიროების მქონე ჩვენს თანაქალაქელებს.

აქტიურად ვარ ჩართული ქალაქში დაგეგმილ სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებში, სტუდენტურ აქტივობებში, აქტიური კომუნიკაცია მაქვს ქალაქის მოსახლეობასთან, ვეცნობი მათ საჭიროებებს, ჩემი კომპეტენციის ფარგლებში ვცდილობ, მონაწილეობა მივიღო პრობლემების ადრესატამდე მიტანასა და მოგვარებაში.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულო წევრი

მანანა ჩიხლაძე